თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სილაბუსი

**სალექციო კურსის დასახელება და მისი კოდი** - **შესავალი ფილოსოფიაში** S.2.E.11 L

**ლექტორი**AAAAAAA AAAAAAA **ირმა შიოშვილი**

ტელ. 2 7-09-90; მობ. 899 194422; ელ.ფოსტა irma-giorgi@posta.ge

კონსულტაციის დღე- სამშბათი, 15.00 საათი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანატი.

ECTS 5 კრედიტი, ანუ 125 სთ, აქედან 30 საკონტაქტო, 95 დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

30 საკონტაქტო საათიდან 15 არის სალექციო, 15 სასემინარო. კვირაში ჩატარდება 2 საათი

**სალქციო კურსის სტატუსი** სავალდებულო

**სალექციო კურსის მიზანი:** სალექციო კურსის მიზანია სტუდენტებში გააღვიძოს ინტერესი ფილოსოფიური და ზოგად მეცნიერული ხასიათის პრობლემებისადმი, მსმენელებს მისცეს აუცილებელი საბა-ზო ცოდნა, რათა მათ დაუბრკოლებლად შეძლონ ცოდნის გაღრმავება ამ მიმართულებით თავიანთი სამეცნიერო ინტერესების შესაბამისად.

**სალექციო კურსის შედეგი:**

| | ზოგადი კომპეტენციები | დარგობრივი კომპეტენციები |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ფლობს ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიების, პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სტუდენტი შეიძენს ისეთ ინტელექტუალურ უნარს, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდება სხვა ინტელექტუალურ კონტექსტში | ფლობს ცოდნას ფილოსოფიის პრობლემების, მისი თეორიული გადაწყვეტის გზების, თეორიებისა და კონცეფციების შესახებ. ამასთან სტუდენტები აცნობიერებენ ფილოსოფის ძირითად დარგებს შორის კავშირს, სხვადასხვა ფილოსოფიური ტექსტების ინტერპრეტიპების მნიშვნელობას. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია აზრის სიზუსტის მიღწევა და მისი ადეკვატური გამოყენება. აქვს კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი. შეუძლია წარმოდგენილი არგუმენტების კრიტიკული შეფასება, | შეუძლია სხვადასხვა დროის და ტრადიციის ტექსტების აღქმა.აქვს შესაძლებლობა გამოიმუშაოს საკუთარი მსოფლმხედველობრივი პოზიცია .იგი შესძლებს სტიქიურად ჩამოყალიბებული აზრები გადააქციოს გააზრებულ, დასაბუთებულ ერთიან შეხედულებათა სისტემად, მსოფლმხედველობად. |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, აბსტრაქტული მონაცემების და კონცეფციების გამოყენება დასკვნების გასაკეთებლად. | შეუძლია მარტივი ფილოსოფიური ხასიათის დასკვნების გაკეთება. |
| კომუნიკაციის უნარი | სტუდენტს განუვითრდება იდეების სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი. | სტუდენტს შეუძლია ფილოსოფიური ცნებითი სამეტყველო აპარატის სრულყოფა, აზრების ცხადად გადმოცემა, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით. |
| სწავლის უნარი | სტუდენტს უკეთესად შეუძლია სწავლის პროცესის მართვა, საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა, საკუთარი თავის მოტივირება. | სამყაროსა და ადამიანის თვისობრივი თავისებურებების, მისი ბედისა და პერსპექტივების გააზრების შედეგად სტუდენტს უკეთესად შუძლია აითვისოს ფილოსოფიის მიმართულების საგნები. |
| ღირებულებები | შეუძლია ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევა, თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება ღირებულებებისადმი, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. | ითვალისწინებს და პატივს სცემს ფილოსოფიის ყველა მიმდინარეობას, მათ დამოკიდებულებას სხვადასხვა ღირებულებებისადმი , რის შედეგადაც უყალიბდება საკუთარი ფილოსოფიური ღირებულებების სისტემა. |

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა:** არ აქვს

**სასწავლო კურსის შინაარსი:**

**თემა # 1. კვირა #1.**

ფილოსოფიის საგანი

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. „*ფილოსოფია*". თბილისი: კვართი. გვ. 25-37

რამიშვილი, ვ.(2010) *ფილოსოფია.*თბილისი: მერიდიანი გვ. 5-11

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. გასეტი ხოსე ორტეგა. (2008) „*რა არის ფილოსოფია?*" (ბრეგვაძე, ბ. მთარგმნელი), წიგნში „*ადამიანი, ფილოსოფია, კულტურა.*" თბილისი: უნივერსალი.
2. Мамардашвили, М. (1990), „*Как я понимаю философию*", Москва: Прогресс.

**თემა #2. კვირა #2.**

ფილოსოფიის წარმოშობა და განვითარება.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. „*ფილოსოფია*". თბილისი: კვართი. გვ. 4-25.

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ბაქრაძე, კ. (1985). *„რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი."* თბილისი: თსუ
2. კაკაბაძე, ზ. (1988). *„ფილოსოფიური საუბრები ."* თბილისი: საბჭოთა საქართველო
3. ნიცშე, ფ. (1993). *„ასე იტყოდა ზარატუსტრა."* (ტატიშვილი, ე. მთარგმნელი). თბილისი.
4. სარტრი ჟან-პოლ. (2001). *„თეატრი."* (ბაქრაძე, კ. ეკიბაშვილი, გ. მთარგმნელები). თბილისი: ჯისიაი.
5. ი გასეტი, ხ. ო. (1993). *„მასების ამბოხი"*. (ბრეგვაძე, ბ. მთარგმნელი) თბილისი: ხომლი.
6. Камю А. (1990), „*Бунтующий человек*", (Перевод с франц. – И.Я. Валевич, Ю.М. Денисов, А.М. Рутневич, Ю.Н. Стефанович).

**თემა #3. კვირა #3.**

ფილოსოფია, როგორც მსოფმხედველობა.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 40-47.

რამიშვილი, ვ.(2010) *ფილოსოფია.*თბილისი: მერიდიანი გვ. 15-21

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ერქომაიშვილი, ვ. (2002). *„ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია."* თბილისი: თსუ.
2. Мамардашвили, М. (1990), „*Как я понимаю филисофию*", Москва: Прогресс.

**თემა #4. კვირა #4.**

ფილოსოფია და იდეოლოგია. ერი და იდეოლოგია.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 56-63.
2. თევზაძე, გ. (1996). *„ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში"*. თბილისი: თსუ. გვ. 3-13.

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ერქომაიშვილი, ვ. (2002). *„ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია."* თბილისი: თსუ.
2. Мамардашвили, М. (1990), „*Как я понимаю философию*", Москва: Прогресс.

**თემა #5. კვირა #5.**

სამყაროს ზოგადი დახასიათება. სუბსტანციის პრობლემა. სივრცე და დრო. ცვალებადობა, მოძრაობა და განვითარება.

ლექცია 1 სთ. Sualeduri wera 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 66-72.

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. Гуревич П.С. и Столяров В.И. (составители), (1991), „*Мир философии*",

Москва: Политиздат.

**თემა #6. კვირა #6.**

ყოფიერება და მისი სახეები.

ლექცია 1 სთ. 1 სთ - შუალედური წერა.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 75-80.

რამიშვილი, ვ.(2010) *ფილოსოფია.*თბილისი: მერიდიანი გვ. 49-58

**თემა #7. კვირა #7.**

სამყაროს კანონზომიერების პრობლემა

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 83-88.

**თემა #8. კვირა #8.**

კატეგორიის რაობა (არისტოტელე, კანტი, ჰეგელი, ჰაიდეგერი).

კატეგორია და ექსისტენციალი. განვიხილავთ მიზეზისა და შედეგის, აუცილებლობისა და

შემთხვევითობის კატეგორიებს.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 88-94.

**დამატებითი ლიტერატურა:**

ბაქრაძე, კ. (1985). *„რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი."* თბილისი: თსუ.

**თემა #9. კვირა #9.**

ზოგადი და ერთეული. შევეხებით რეალიზმს, ნომინალიზმს და კონცეპტუალიზმის თეორიებს.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 102-115.

**თემა #10. კვირა #10.**

ადამიანის არსი და სპეციფიკა. ინსტიქტი და ცნობიერება.

ლექცია 1 სთ. Sualeduri wera 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 115-126

**დამატებითი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. (2002). *„ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია."* თბილისი: თსუ.

### თემა #11. კვირა #11

ფსიქიკა და ცნობიერება. აქ მოკლედ განვიხილავთ არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემას, შევეხებით ცნობიერების მოდელირების პრობლემასაც. ადამიანი და ენა, ენის ფუნქციები. ბუნებრივი და მეცნიერული ენები.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 115-126.

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ბოჭორიშვილი, ა. (1980). „*რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ*". თბილისი: მეცნიერება.
2. ფროიდი, ზ. (1991). „*ფსიქოანალიზის ნარკვევი.*" (ბაკაჩიძე, თ. მთარგმნელი). თბილისი: ხელოვნება.
3. Фрейд З.(1991), „*Введение в психоанализ*", Лекции, (Перевод - Барышников), Москва: Наука.

### თემა #12. კვირა #12.

შემეცნების არსი. განხილული იქნება დოგმატიზმის, სკეპტიციზმის და კრიტიციზმის თეორიები, ჭეშმარიტების პრობლემა, ფაქტობრივი და ლოგიკური ჭეშმარიტებანი, ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემა.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 146-160.

რამიშვილი, ვ.(2010) *ფილოსოფია.*თბილისი: მერიდიანი გვ.79-85

**დამატებითი ლიტერატურა:**

ბუაჩიძე, თ. (1964). „*ჭეშმარიტების ობიექტურობის პრობლემა.*" თბილისი: მეცნიერება.

### თემა #13. კვირა #13.

შემეცნების პროცესი. მოკლედ დავახასიათებთ შემეცნების პროცესს. შემეცნების გრძნობად და აბსტრაქტულ ეტაპებს. შევეხებით ინტუიციის როლს შემეცნების პროცესში, აგრეთვე, ინტუ-იციის სახეებს.

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 160-171.

### თემა #14. კვირა #14.

ადამიანის თავისუფლების პრობლემა. ამ საკითხს გავარჩევთ პასუხისმგებლობის პრობლე-მასთან მიმართებაში. განვიხილავთ თავისუფლების ცნებას, მის სტრუქტურას, ფატალიზმსა და ვოლუნტარიზმის თეორიებს. მოკლედ გავაანალიზებთ ერიხ

ფრომის წიგნს

„თავისუფლებიდან გაქცევა"

ლექცია 1 სთ. სემინარი 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 171-182.

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ერქომაიშვილი, ვ. (2002). *„ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია."* თბილისი: თსუ.
გვ. 126-247.
2. შიოშვილი, ი. (2005). *„გაუცხოების პრობლემა ერიხ ფრომის ჰუმანისტიკურ ფსიქოანალიზში"*
ჟურნალი ინტელექტი #1(21). თბილისი:

**თემა #15. კვირა #15.**

მასის და პიროვნების მიმართების პრობლემები.

ლექცია 1 სთ. Sualeduri wera 1 სთ.

**ძირითადი ლიტერატურა:**

ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი. გვ. 272-284.

**დამატებითი ლიტერატურა:**

გასეტი, ხ. ო. (1993). *„მასების ამბოხი".* (ბრეგვაძე, ბ. მთარგმნელი) თბილისი: ხომლი.

## სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

კურსი გულისხმობს სტუდენტების ინტენსიურ ჩართვას ლექციებსა და სემინარებში. სწავლა წარიმართება ინტერაქტიული მეთოდით პრეზენტაციებით, დისკუსიებით, დებატებით, მუშაობით მცირე ჯგუფებში, თვითშეფასებით, სხვათა ნაშრომების შეფასებით.

## სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

**სტუდენტებს შეფასებისას მოეთხოვებათ:**

- თეორიული საკითხის ცოდნა;
- სავარჯიშოების ამოხსნა

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით:

91-100 A ფრიადი
81-90 B ძალიან კარგი
71-80 C კარგი
61-70 D დამაკმაყოფილებელი
51-60 E საკმარისი
41-50 FX არასაკმარისი(სტუდენტს ეძლევა განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება)
0-40 F ჩაიჭრა(სტუდენტმა საგანი ახლიდან უნდა გაიაროს)

შეფასების კრიტერიუმები: სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);
2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);
3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი ფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით, თითოეულ მათგანს ენიჭება მაქს. 15 ქულა.თითოეულ შუალედურ წერაში შევა ორი თეორიული საკითხი და ერთი პრაქტიკული ამოცანა ან სავარჯიშო.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი ფასდება ოთხჯერადად, ზეპირი გამოკითხვით, სადაც თითოეულ გამოკითხვას ენიჭება 5 ქულა.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით. სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.
3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.
4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შევა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, კომბინირებული სახით (ტესტები, თეორიული მასალა), ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავენ სტუდენტის ნაწერს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი იქნება არა ნაკლებ 10 დღისა.

**ძირითადი ლიტერატურა**:

1. ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია*. თბილისი: კვართი.
2. თევზაძე, გ. (1996). *„ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში“*. თბილისი: თსუ
3. ბოჯორიშვილი, ა. (1980). *„რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ“*. თბილისი: მეცნიერება
4. რამიშვილი, ვ.(2010) *ფილოსოფია*.თბილისი: მერიდიანი

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ბაქრაძე, კ. (1985). „*რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი.*“ *თბილისი: თსუ*
2. კაკაბაძე, ბ. (1988). „*ფილოსოფიური საუბრები .*“ თბილისი: საბჭოთა საქართველო
3. ნიცშე, ფ. (1993). „*ასე იტყოდა ზარატუსტრა.*“ (ტატიშვილი, ე. მთარგმნელი). თბილისი.
4. სარტრი ჟან-პოლ. (2001). „*თეატრი.*“ (ბაქრაძე, კ. ეკიბაშვილი, გ. მთარგმნელები). თბილისი: ჯისიაი.
5. ი გასეტი, ხ. ო. (1993). „*მასების ამბოხი*“. (ბრეგვაძე, ბ. მთარგმნელი) თბილისი: ხომლი.
6. ბუაჩიძე, თ. (1964). „*ჭეშმარიტების ობიექტურობის პრობლემა.*“ თბილისი: მეცნიერება.
7. ფროიდი, ზ. (1991). „*ფსიქოანალიზის ნარკვევი.*“ (ბუაჩიძე, თ. მთარგმნელი). თბილისი: ხელოვნება.
8. ერქომაიშვილი, ვ. (2002). „*ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია.*“ თბილისი: თსუ.
9. Мамардашвили, М. (1990), „*Как я понимаю философию*“, Москва: Прогресс.
10. Камю А. (1990), „*Бунтующий человек*“, (Перевод с франц. – И.Я. Валевич, Ю.М. Денисов, А.М. Рутневич, Ю.Н. Стефанович).
11. Фрейд З.(1991), „*Введение в психоанализ*“, Лекции, (Перевод - Барышников), Москва: Наука.
12. Гуревич П.С. и Столяров В.И. (составители), (1991), „*Мир философии*“, Москва: Политиздат.